

მე-7 კლასი

ალგებრა

1.(5 ქულა) რაზე იყოფა შემდეგი რიცხვი: $8^{10} - 8^9 - 8^8$

- ა) 50 ბ) 65 გ) 55 დ) 81

2.(5 ქულა) $\frac{36^2 + 128 \cdot 36 + 64^2}{100^2 - 200 \cdot 50 + 50^2} =$

- ა) 4 ბ) 10000 გ) 8 დ) 2

3.(6 ქულა) წიგნების კარდაში ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენოვანი წიგნებია. ქვემოთ ჩამოთვლილი ოთხი პირობიდან რომელი ორის ერთდროულად შესრულების შემთხვევაში შევძლებთ ამ კარდაში არსებული წიგნების საერთო რაოდენობის დადგენას??

I.კარდაში წიგნების 25 % ინგლისურ ენოვანია.

II.კარდაში 40 წიგნი რუსულ ენოვანია

III. კარდაში წიგნების მესამედი ქართულ ენოვანია

IV.კარდაში 40 წიგნი ინგლისურ ენოვანია.


- ა) I და II ბ) II და III გ) I და IV დ) II და IV

4.(6 ქულა) ონკანმა აავსო ავზის $\frac{3}{8}$ ნაწილი. ავზის დარჩენილი ნაწილის იგივე ონკანით ავსებას დასჭირდა 5 სთ. რამდენი საათი სჭირდება ონკანს მთელი ავზის ასავსებად?

- ა) 8 სთ ბ) 10 სთ გ) 7 სთ დ) 15 სთ

გეომეტრია

5.(6 ქულა) იპოვეთ x კუთხე



- ა) 100° ბ) 130° გ) 115° დ) 105°

6.(6 ქულა) AB მონაკვეთი დაყოფილია სამ ნაწილად 2 : 3 : 4 შეფარდებით. კიდურა ნაწილების შუა წერტილებს შორის მანძილი 12 სმ-ია. რას უდრის AB მონაკვეთის სიგრძე?


ა) 12

ბ) 24

გ) 22

დ) 18

7.(5 ქულა) m და n პარალელური წრფეებია, ასევე ცნობილია $\angle 1 = 49^\circ$, $\angle 2 = 57^\circ$, მაშინ $\angle 3 =$




ა) 106°

ბ) 98°

გ) 114°

დ) 74°

8.(6ქულა) ABC სამკუთხედი ტოლფერდაა $AB=BC$ და CE არის $\angle BCD$ კუთხის ბისექტრისა, მაშინ $\angle ABC =$



ა) 50°

ბ) 100°

გ) 130°

დ) 80°

ლოგიკა

9.(4 ქულა) უმცირესი ნატურალური რიცხვი, რომელიც 2-ზე გამრავლების შემდეგ ნატურალურ რიცხვის კვადრატად იქცევა, ხოლო 3-ზე გამრავლების შემდეგ კი კუბად, არის?

ა) 81

ბ) 56

გ) 72

დ) 68

10.(4ქულა)რამდენი ოთხიანი გამოიყენება 300-დან 400-ის ჩათვლით ყველა ნატურალური რიცხვის თანმიმდევრობით ჩასაწერად

ა) 20

ბ) 21

გ) 19

დ) 22

